ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი კოლეგიის წევრი

გიორგი ტურაზაშვილი კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.12.2014

საჩივრის რეგისტრაციის #101/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჯ-ს მიმართ /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 03 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. გ-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი საჩივრების საფუძველზე, წლების განმავლობაში, გლდანი ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში უსაფუძვლოდ ჭიანურდება საქმის გამოძიება მისი თანხმობის გარეშე, მისივე საცხოვრებელი ბინის, ყალბი დოკუმენტებით იპოთეკით დატვირთვის ფაქტთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, მან 2013 წლის

ნოემბრის თვეში, საადვოკატო მომსახურეობის მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ თ. ჯ-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი შეპირდა საქმის მოგვარებას, რისთვისაც მან ჰონორარის სახით მოითხოვა 1200 (ათას ორასი) ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული თანხა მან რამდენიმე დღეში პირადად გადასცა ადვოკატს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად თანხის მიღებისა, ადვოკატს მისთვის იურიდული დახმარება არ გაუწევია და მასთან სატელეფონო საუბარსაც თავს არიდებდა. ადვოკატმა მხოლოდ რამდენიმე წერილი შეუდგინა და სამჯერ თავისი მანქანით მიიყვანა შეხვედრის ადგილას. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ მან გადაწყვიტა ადვოკატთან ადვოკატ კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტა და მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დაპირდა, რომ დაუბრუნებდა მხოლოდ 600 (ექვსას) ან 700 (შვიდას) ლარს, რაზეც მან უარი განუცხადა და მოსთხოვა თანხის სრულად დაბრუნება იმ ხარჯების გამოკლებით, რაც ადვოკატმა გასწია სამჯერ მისი შეხვედრის ადგილზე მიყვანასა და წერილების შედგენისათვის.

1.6 2014 წლის 22 დეკემბერს საჩივრის ავტორმა წარმოადგინა წერილობითი შუამდგომლობა ადვოკატთან მორიგების თაობაზე. ეთიკის კომისიის მეოთხე საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, მხარეებს მოსარიგებლად განესაზღვრათ გონივრული ვადა.

1.7 2015 წლის 20 იანვარს, საჩივრის ავტორმა წერილობით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა საქმის წარმოების გაგრძელება, ვინაიდან მასსა და ადვოკატს შორის მორიგება ვერ მოხერხდა.

1.8 2015 წლის 30 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატს მისი საქმე უნდა ეწარმოებინა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის წესით და მისთვის გადახდილი 1200 (ათას ორასი) ლარიდან 600 (ექვსასი) ლარი განკუთნილი იყო საქმის სისხლის სამართლის კუთხით, ხოლო დანარჩენი თანხა საქმის სამოქალაქო სამართლის კუთხით საწარმოებლად.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს წერილი უნდა შეეგდინა იუსტიციის მინისტრის სახელზე, მიუხედავად ამისა, მან წერილი დაწერა იუსტიციის მინისტრის მოადგილის სახელზე, რომელიც არის მისი მოწინააღმდეგე მხარის ყოფილი ადვოკატი.

1.10 განხილვის კოლეგიის 2015 წლის 01 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორი ვერ გამოცხადდა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და მან სატელეფონო საუბრის საშუალებით კოლეგიას აცნობა, რომ ადვოკატმა მას დაუბრუნა გადაცემული ჰონორარი და ამასთან დაკავშირებით მას თ. ჯ-სადმი პრეტენზია აღარ აქვს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2015 წლის 20 იანვარს, ეთიკის კომისიის აპარატმა ადვოკატს ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა საჩივარი მისამართზე ქ. ,, □ და განუსაზღვრა ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადა საჩივარზე წერილობითი ახსნა□განმარტების წარმოსადგენად. ადვოკატს ჩაბარდა საჩივარი, მაგრამ მას წერილობითი ახსნა□განმარტება არ წარმოუდგენია. ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ადვოკატს ეცნობა საპროცესო კოლეგიის სხდომის თარიღი 2015 წლის 30 იანვარი, მაგრამ ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით ადვოკატს უნდა მისცემოდა საშუალება ახსნა□განმარტება ზეპირად წარმოედგინა და ადვოკატთან გასაუბრების მიზნით, კიდევ ერთი საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 2015 წლის 13 თებერვალს. სხდომის თარიღი ადვოკატს ეცნობა სატელეფონო ზარის საშუალებით, მან განაცხადა, რომ მოვიდოდა აღნიშნულ სხდომაზე, თუმცა ის სხდომაზე არ გამოცხადდა. საპროცესო კოლეგიისათვის ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობია.

2.2 ადვოკატმა თ. ჯ-მ 2015 წლის 01 ივლისს განცხადებით მომართა განხილვის კოლეგიას, სადაც განმარტა, რომ მისი ინფორმაციით საჩივრის ავტორს მის მიმართ პრეტენზია არ აქვს და სურს კოლეგიამ აღნიშნული საჩივარი განიხილოს მის დაუსწრებლად.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2015 წლის 20 თებერვალს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ჯ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი თ. ჯ. ს. გ-ს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით და მის საქმეს არ აწარმოებდა ზეპირი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ამასთან, მას წინასწარ ჰქონდა მიღებული გასაწევი საადვოკატო მომსახურების ღირებულება, ხოლო ს. გ-ს მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მან კლიენტს არ დაუბრუნა წარმომადგენლობისათვის მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურის ის ნაწილი, რომლის სანაცვლო მომსახურება მას ჯერ არ ჰქონდა შესრულებული, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ□ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა□ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. ჯ-ს საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა 2013 წლის ნოემბრის თვეში, ხოლო მათ შორის მინდობილობა გაფორმდა 2013 წლის 06 დეკემბერს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ს. გ-ს საჩივარი (ს.ფ 1)
2. რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება N. (ს.ფ. 2-4)

4.1.2 საჩივრის ავტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ადვოკატმა თ. ჯ-მ აიღო ვალდებულება წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, შესაბამის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება N. (ს.ფ. 2-4)

4.1.3 ადვოკატმა თ. ჯ-მ საჩივრის ავტორისაგან ჰონორარის სახით მიიღო 1200 (ათას ორასი) ლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორის განმარტება (ს.ფ. 1)

4.1.4 საჩივრის ავტორის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან ადვოკატ თ. ჯ-ს ტელეფონზე შემომავალი და გამავალი ზარი განხორციელებულია 2013 წლის ნოემბრის თვიდან 2014 წლის აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სახლის ტელეფონიდან 2013 წლის ნოემბრის თვიდან 2014 წლის ოქტომბრამდე პერიოდში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ამონაწერი (ს.ფ. 6-187)

4.1.5 ადვოკატმა თ. ჯ-მ რამდენიმე წერილი შეუდგინა საჩივრის ავტორს და სამჯერ თავისი მანქანით მიიყვანა შეხვედრის ადგილას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საჩივრის ავტორის განმარტება (ს.ფ. 1)

4.1.6 ადვოკატმა თ. ჯ-მ საჩივრის ავტორს სრულად დაუბრუნა ჰონორარის სახით აღებული თანხა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიის 2015 წლის 01 ივლისის N101/14 საქმის განხილვის სხდომის ოქმი (ს.ფ. 217-218)
2. ადვოკატ თ. ჯ-ს 2015 წლის 01 ივლისის განცხადება (ს.ფ. 216)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ჯ-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

6.1.2 ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

6.2 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით და საქმის წარმოებისას კლიენტს დროულად მიაწოდოს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე სწორი ინფორმაცია კლიენტისთვის გასაგებ ენაზე, მასთან წინასწარ შეთანხმებული წესით.

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე." ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება, გადაწყვეტილების მიღების დროს ადვოკატსა და კლიენტს შორის უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა. კერძოდ, 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში

დისციპლინურ საქმეზე #092/11 განმარტა: ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობაში და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

6.4 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია პირველყოვლისა ემსახურება იმ მიზანს, რომ თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების გათვალისწინებით, მაღალი პროფესიონალიზმით, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ემსახუროს კლიენტის ინტერესებს, იმგვარად, რომ საზოგადოების მხრიდან მოიპოვოს ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი. ყოველი ადვოკატი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს ამ მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის არსებობას და მისი ჩართულობით ხელს უწყობდეს ეთიკის კომისიის ეფექტურ საქმიანობას. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-16 მუხლის თანახმად: ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა - განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტებები. ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ მართალია ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება ადვოკატს არ ავალდებულებს საჩივარზე წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენას ან საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მიღებას, თუმცა ადვოკატის მიმართ დაწესებული მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, კომისია არ იწონებს ადვოკატ თ. ჯ-ს გადაწყვეტილებას, რომლითაც მან არ გამოიყენა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-16-მე-17 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებები, უპასუხოდ დატოვა საჩივრის ავტორის პრეტენზიები და არ გამოცხადდა ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

6.5 საქმის მასალების მიხედვით, 2013 წლის ნოემბრის თვეში, საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურეობის გაწევის მიზნით, მიმართა ადვოკატ თ. ჯ-ს. მხარეთა შორის დაიწყო ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა. ურთიერთობის დაწყებისას მხარეები უნდა შეთანხმდნენ კომუნიკაციის იმგვარ ფორმაზე, რომელიც ორივე მხარისათვის მოსახერხებელი იქნება და უზრუნველყოფს კლიენტის დროულ და ჯეროვან ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. საქმეში არსებული მასალებით არ ირკვევა, შეთანხმდენ თუ არა მხარეები კომუნიკაციის მათთვის მისაღებ ფორმაზე.

6.6 საჩივრის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო ამონაწერის თანახმად, ს. გ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონიდან ადვოკატ თ. ჯ-ს ტელეფონზე შემომავალი და გამავალი ზარი განხორციელებულია 2013 წლის ნოემბრის თვიდან 2014 წლის აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სახლის ტელეფონიდან 2013 წლის ნოემბრის თვიდან 2014 წლის ოქტომბრამდე პერიოდში. აღნიშნული ამონაწერის მიხედვით საჩივრის ავტორისა და ადვოკატის კომუნიკაცია ბოლო თვეების განმავლობაში მკვეთრად იკლებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეთიკის კომისიისათვის უცნობია, (რადგან განხილვის კოლეგიის სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო არ მოგვეცა საშუალება დაგვედგინა) თუ როდის შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ცალსახად ვერ დასტურდება რას ემსახურებოდა კლიენტის მიერ განხორციელებული ზარები, ინფორმაციის მიღების მცდელობას საქმესთან დაკავშირებით, თუ ადვოკატისათვის თანხის დაბრუნების მოთხოვნას.

6.7 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მისამართით განხორციელებული ზარების მიზნობრიობა დაუდგენელია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე ადვოკატ თ. ჯ-ს ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია და არც საქმის ზეპირ განხილვაში მიუღია მონაწილეობა, ხოლო საქმის მასალებიდან არ დგინდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ფაქტი. შესაბამისად, განხილვის კოლეგია იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა კლიენტის არაინფორმირებულობასა და მასთან არაჯეროვან კომუნიკაციას.

6.8 განხილვის კოლეგიამ ისმჯელა ადვოკატის მხრიდან ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.9 კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

6.10 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #074/10 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

6.11 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2013 წლის 06 დეკემბერს სანოტარო წესით გაფორმდა რწმუნებულება, რომლის თანახმადაც ს. გ-მ ადვოკატს მიანიჭა მისი

ინტერესების დაცვისა და წარმოდგენის სრული უფლებამოსილება, ყველა ინსტანციის სასამართლოში, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეზე.

6.12 განხილვის კოლეგია საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ვერ აკეთებს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, ადვოკატმა განახორციელა თუ არა კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს ადვოკატის მიერ რამდენიმე წერილის შედგენის ფაქტს, არც საჩივრის ავტორის და არც ადვოკატის მიერ არ მომხდარა აღნიშნული მტკიცებულებების წარმოდგენა, ასევე არ მომხდარა იმის გამოკვლევა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული წერილების შედგენა, შესაბამისად, განხილვის კოლეგიისათვის უცნობია მითითებული წერილების შინაარსი, რაც თავის მხრივ აუცილებელია იმისათვის, რომ კოლეგიამ განსაზღვროს, ადვოკატის მიერ რამდენად კვალიფიციურად და კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით იქნა აღნიშნული დოკუმენტები შედგენილი.

6.13 განხილვის კოლეგია ადვოკატ თ. ჯ-ს მიერ განხორციელებული აქტივობების კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ჭრილში განხილვისას, განმარტავს, რომ საქმის მასალებიდან არ დგინდება, თუ როდის შეწყდა ადვოკატ კლიენტს შორის ურთიერთობა და რა პერიოდში განახორციელა ადვოკატმა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული აქტივობები. ამ გარემოებების დადგენის გარეშე, შეუძლებელია ვიმსჯელოთ, თუ რამდენად საფუძვლიანია ადვოკატის მიმართ საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ „ადვოკატმა მხოლოდ რამდენიმე წერილი შეუდგინა და სამჯერ თავისი მანქანით მიიყვანა შეხვედრის ადგილას.“ შესაბამისად, საჩივრის ავტორის განმარტებასა და წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ დგინდება ადვოკატის მხრიდან არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფაქტი და ადვოკატ თ. ჯ-ს მიერ ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

6.14 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

6.15 საჩივრის ავტორმა 2015 წლის 01 ივლისს სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით კოლეგიას აცნობა, რომ ადვოკატმა მას დაუბრუნა საადვოკატო მომსახურებისათვის

ჰონორარის სახით გადაცემული თანხა და ამ საკითხთან დაკავშირებით მას ადვოკატის მიმართ პრეტენზია აღარ აქვს. ადვოკატმა თ. ჯ-მ 2015 წლის 01 ივლისის განცხადებით განმარტა, რომ მან ს. გ-ს დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით მისთვის გადაცემული თანხა. კოლეგიის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დგინდება, რომ ადვოკატმა თ. ჯ-მ საჩივრის ავტორს სრულად დაუბრუნა ჰონორარის სახით მიღებული თანხა, შესაბამისად ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა არ დასტურდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N101/14 ადვოკატ თ. ჯ-ს /სიითი #/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ტურაზაშვილი/